№ 95, შაბათი, 25 იანვარი 1897 წ. 1896—1897 შაბათი, 25 იანვარი 1897 წ. № 95.

რედაქცია:
ფრეილინის ქუჩა, № 13.
ტფილისი
ხელის მომწერნი გაზეთის დასაკვეთად მიჰმართვენ რედაქციას დილის 10 საათიდან 3 საათამდე და საღამოს 6—7 საათამდე და „წერა-კითხ. გამავრცელ. საზ.“ წიგნის მაღაზიას.
ტელეფონი № 363

ცნობის

ყოველ-დღიური გამოცემა.

გაზეთის ფასი: ერთის წლით 6 მან., ნახევარის წლით 4 მან.
თითო ნომერი 3 კაპ.
ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ 10 კ., მეოთხეზედ 5 კ.
Тифлисъ, Фрейлинская № 13
Редакція „Цнобисъ Пурцели“.
Телефонъ № 363

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყოვლად-სამღვდელო გაბრიელ ეპისკოპოზის

მიცვალების წლის თავზე, კვირას, 26 იანვარს, გადახდილ იქნება პანაშვიდი ქაშვეთის წმ. გიორგის ეკკლესიაში ნაშუადღევის 2 საათზედ.

ამ მომდინარე 1897 წლისთვის
მიიღება ხელის მოწერა ყოველდღიურ გაზეთ

„ცნობის ფურცელზედ“

ვინც წლიურად დაიკვეთავს გაზეთს, მას მიუვა მუქთად 1897 წლის დიდი „საქართველოს კალენდარი“, შედგენილი გალ. გუნიას მიერ.

გაზეთის ფასი: ერთის წლით 6 მან., ნახევარის წლით 4 მან., ერთის თვით 60 კაპ.
სხვა ვადით გაზეთის დაკვეთა არ შეიძლება.
თითო ნომერი დირს ყველგან 3 კაპ.
განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ 10 კ., მეოთხეზედ 5 კაპ.

იმ ხელის მომწერთა, რომელთაც წლიურის ფასის ერთბაშად შემოტანა გაუძნელდებათ, რედაქცია შეღავათს აძლევს: ხელის მოწერის დროს 2 მანათი წარმოადგინონ და მერმე ყოველ თვე-და-თვე თითო მანათი, ვიდრე 6 მანათს შეასრულებდნენ.
ადრესი რედაქციისა: **Тифлисъ, Фрейлинская, № 13.**
Редакція „Цнобисъ Пурцели“.

ხელის მომწერთა საყურადღებოდ.

„საქართველოს კალენდარი“
1897 წ.

ყველა წლიურ ხელის მომწერთ დაურიგდება 20 იანვრიდან ჯერ ტფილისში და მერე ქალაქ გარეშე ნელ-ნელა ერთის, კვირის განმავლობაში.

ქართული თეატრი
ოთხშაბათს, 29 იანვარს, 1897 წ.
ბენეფისი კნ. ზ. ავალიშვილისა.
ქართულ დრამატიულ საზოგადოების დასის მიერ ავალიშვილისა, ალექსი მესხიშვილის, ყიფიანის და აბაშიძის მონაწილეობით წარმოდგენილ იქნება:
პირველად ახალი პიესა

ბოშა ქალი ზანდა

დრ. 4 მოქმედებად, 5 სურ. თარგ. გალუსტოვისა.

მონაწილეობას მიიღებენ: ქქ. ავალიშვილისა, ჩერქეზიშვილისა, გამყრელიძისა, კარგარელი, ივანიძე და სხვ. ბბ. ალექსი-მესხიშვილი, აბაშიძე, ყიფიანი, სვიმონიძე, გედევანოვი, გამყრელიძე, მარჯანიშვილი, შათირიშვილი, კანდელაკი, ადამიძე, კარბელი, საფაროვი, აბრამოვი, გვარამაძე დი სხვ.
ადგილების ფასი ჩვეულებრივია.
დასაწყისი 8 საათზე
რეჟისორი ვ. ალექსი-მესხიშვილი.
ადმინისტრატორი კ. შათირიშვილი.

„ახალი მკითხველი“

მიიღება ხელის-მოწერა 1897 წლის გამოცემებზე.
ფასი მთელი წლისა **3** მანათი.
შეიძლება თითო მანათობითაც პირველ სამ თვეში ხელის-მოწერის დღიდგან.
ადრესი: ***Тифлисъ. „Новый Читатель“. Ивану Павловичу Ростомову.*** (30—18)

ამა 1897 წლის 2 თებერვალს ქ. ოზურგეთში დანიშნულია **გურიის ხავაჭრო-სამრეწველო ამხანაგობის „შუამავლის“ წევრთა საზოგადო კრება** განსახილველად:
1) ანგარიშებთა ამხანაგობის მოქმედებათა წარსულის 1897 წლისა
2) ამხანაგობის პირობის წერილის ზოგიერთ შესაცვლელ მუხლთა.
და 3) არჩევნებისა სარევიზიო ზოგიერთ კომისიის წევრთა.
ამიტომ გამგეობა ხსენებულ ამხანაგობისა მოუწოდებს ამხანაგობის წევრთა ამა კრებაზე დასასწრებლად. (3—3).

პირველი კერძო სამკურნალო
ექიმის ნავასარდიანისა
(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ).
ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე. კვირა დღეებს გარდა.
დილაობით:
ბ. ა. ნავასარდიანი, 11—12 საათ. ამათ, ვისაც სჭირს: სნეულებანი სახირურგიო, ვენერიული და სიფილისი.
ჟ. მ. ჩიქოვანი, 9—10 საათ. სნეულებანი: თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.
ექ. ქალი ა. ი. დუნაევა-რუდნევა 11—12 საათ. სნეულებანი: დედათა სქესისა და ბავშვებისა.
ზ. ი. ბაბანასიანცი—დილის 10—11 ს. ქალთა სენით ავათმყოფებს, ოთხშაბათობით, პარასკეობით და შაბათობით; და $1^1/_2$—2 საათ. ორშაბათობით, სამშაბათობით და ხუთშაბათობით.
ი. ფ. პრიტასევიჩი. 12—1 საათ. სნეულებანი: ყურისა, ყელისა, ცხვირის და გულ-მკერდისა ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკ.
ა. მ. პუგინოვი. 12—1 საათამდე. შინაგან, ბავშვთა და ნერვის ავადმყოფობისა, სამშაბათ, ხუთშაბათ და შაბათობით.
ა. ზ. კარაპეტიანცი. 1—$1^1/_2$ საათ. სნეულებანი: შინაგანი და ბავშვებისა.

საღამოობით:
ი. ფ. პრიტასევიჩი. 5—6 საათ. სამშაბათს, ხუთშაბათს და შაბათს.
ა. მ. პუგინოვი. 5—6 საათ. ორაბათ, ოთხშაბათ და პარასკეობით.
ა. გ. ბუჩკო, 6—7 საათ. სნეულებანი: სიფილისი, ვენერიული, შინიგანი და კანისა.
ა. გ. ბუჩკო. გამოიკვლევს ქიმიურად და მიკროსკოპიულად შარდს, ნახველს, სისხლს, რძეს და სხვ.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით. სამკურნალოს საწოლიცა აქვს ავადმყოფთათვის.
დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი. (წ).

სამკურნალო და ამბულატორია
ს. ზ. თოფურიასი

ქუთაისში
სამკურნალოში 40 საწოლია ავადმყოფთათვის. მიიღებიან ავადმყოფნი: **შინაგანისა, ნერვების, საქირურგო, თვალისა და დედათა ავადმყოფობისანი.**
გადამდებ სენით ავადმყოფნი არ მიიღებიან.
ავადმყოფთ სინჯავენ დილის 11 საათიდგან ნაშუადღევის 3 საათამდე. შინაგანს და ნერვების ავადმყოფობას სწამლობს **ს. .ზ თოფურია.**
საქირურგიო ავადმყოფობას და სიფილისს—**ფ. ქ. ზერრატი.**
დედათა ავადმყოფობას მკურნალი **ქალი მ. თ. კოზანი.**
თვალების ავადმყოფობას—**ი. ქ. ვარშავსკი.**
ამბულატორიაში არის კაბინეტი, საქიმიო და საბაქტერიოლოგიო გამოკვლევისათვის, ელექტრონით წამლობისთვის და მასაჟისთვის.
სამკურნალოს დირექტორი **ს.ზ. თოფურია.** (წ.)

ვექილი
გ. ბ. გვაზავა

კისრულობს სისხლის სამართლის და სამოქალაქო საქმეების წარმოებას.
(გოლოვინის პროსპექტი, მუხრან-ბატონის სახლი, № 6).
დილით 9—10, საღამოს 5—7 საათ.
ფოსტის ადრესი: *Тифлисъ, Головинскій, д. Мухранскаго, Г. Б. Гвазава.* (30—13)

ექიმი
ჟ. მ. ჩიქოვანი

ავადმყოფს იღებს ყოველ დღე დილის 11—12 საათამდე და საღამოს 6—7 მდე.
მიხეილის ქუჩა, № 16.

გამოვიდა და იყიდება ქართულ წიგნების მაღაზიებში ახალი წიგნი

ბახტრიონი

ისტორიული პოემა
ვაჟა-ფშაველასი.
(ავტორის სურათით, ბიოგრაფიით და ნახატებით).
შეიცავს 88 გვერ. (XVI+72)
ფასი ერთი აბაზი,
უმთავრესი საწყობი გამომცემლების მაღაზიაში.
ფოსტის ადრესი: Георгіевская, № 14. Книжная торговля т-ва I. Имедашвили и С. Челидзе. (5—1)

დეპეშა

გაზეთ „ცნობის ფურცლისა“.
(„რუსეთის სატელეგრაფო სააგენტოსაგან“).
22 იანვარი.

პეტერბურგი. გაზეთი „ლუჩი“, რომელიც ახალის რედაქტორის დამტკიცებამდე შეჩერებულ იყო, გუშინ დილით ხელ-ახლად გამოვიდა.

პარიზი. საფრანგეთმა უკმაყოფილება გამოუცხადა ხედივს ინგლისის მთავრობისაგან ვალის აღების შესახებ. საფრანგეთმა მოაგონა ხედივს, რომ სესხის აღების დროს მან უნდა მიგემართა სახელმწიფო ვალების კომისიისათვისაო.

ლონდონი. ინდოეთის საქმეთა-სტატს-სეკრეტარმა ბომბეის გუბერნატორისაგან მიიღო დეპეშა, რომელშიაც ნათქვამია, რომ ყველა გემები ბომბეის ნავთ-სადგურებიდან გამოსვლამდე სანიტარულად ისინჯებიანო.

სტამბოლი. უმაღლეს სასანიტარო საბჭოს თეირანიდგან დეპეშით ატყობინებენ, რომ ბელუჯისტანს ჯევადირის ნავთ-სადგურში შავი ჭირი გაჩნდაო.

სტამბოლი. რადგანაც სინოდის ორ დასთა შორის უთანხმოება მოხდა, მსოფლიო პატრიარქმა სამსახურს თავი დაანება.

ვაშინგტონი. 21 იანვარს, ინგლისისა და ვენეცუელის ელჩებმა ხელი მოაწერეს ვენეცუელის საქმის სამედიატორო სამართლით გარჩევის ხელ-შეკრულობას.

გუშინდელი დეპეშა

23 იანვარი.

პეტერბურგი. 22 იანვარს გრაფი მურავიევი საზღვარ-გარეთიდგან დაბრუნდა პეტერბურგს.

ლონდონი. პარლამენტმა მეორე კითხვის დროს, 228 ხმის უმეტესობით წინააღმდეგ 157, შეიწყნარა ბეგგის წინადადება მის შესახებ, რომ ქალებსაც მიენიჭოს ამომრჩეველთა უფლებანი.

სტამბოლი. სახელმწიფო საბჭოს წევრი, ტეფიკ-ბეი და იერუსალიმის დეპუტატი უსუფ-ფაშა, სულთანის მინდობილობით გაემგზავრენ ევროპისაკენ, პარიზსა და ლონდონში მყოფ ოსმალეთის სარევოლიუციო კომიტეტებთან მოსალაპარაკებლად. იმათ უნდათ შეაჩერონ კომიტეტთა მოქმედება. როგორც ამბობენ, სამხედრო სასწავლებლების დირექტორი, ტეფიკ-ფაშა იმავე მიზნით მიდის პარიზშიო. აგრეთვე ამბობენ, რომ პარიზში მყოფ ოსმალეთის სარევოლიუციო კომიტეტს სტამბოლიდგან იმედებს აძლევენ, რომ ზოგიერთი მისი მოთხვნილება კონსტიტუციის განახლების შესახებ ბაირამის დღესასწაულისათვის დაკმაყოფილებულ იქნებაო. სტამბოლში არ სჯერათ ეს ხმები და ფიქრობენ, რომ მხოლოდ იმისთვის გაავრცელეს, რომ რამაზანის დროს შეაჩერონ კომიტეტთა მოქმედებაო.

კრიტზედ, კანეიას ოლქში სრული ანარხია სუფევს. იუწყებიან, რომ ქრისტიანები და მაჰმადიანები ბევრჯერ შეჰტაკებიან ერთმანერთს. აპოკარონიდგან შეიარაღებული ბრბო ქრისტიანეთა კანეიაში მიდის. ასეთივე უწესოება სუფევს რეტიმნოსა და კანდის ოლქებში. ახალს აჯანყებას მოელიან.

კანეია. აჯანყება, როგორც ამბობენ, გამოწვეულია მით, რომ ცვლილებათა შემოღებას ხელი შეუშალონ. კონსულები სცდილობენ მკვიდრთა დაწყნარებას. გემების მოსვლის დროს არაფერი უწესობა არ ყოფილა თვით ქალაქში, მაგრამ ქალაქის მახლობლად-კი გაისმოდა თოფების გრიალი. ბრიტანიის გემის უფროსმა ექვსიოდე კაცი დააყენა ტელეგრაფის სვეტების დასაცველად. ამდენივე კაცი გამოგზავნა საფრანგეთის გემის უფროსმა.

აგორდატი. დერვიშებმა ჯარები გაგზავნეს მდ. გაშის ხეობაში. საღამოს ეს ჯარი მივიდა ბარგაროს მთის ძირში. იტალიელების მოწინავე რაზმმა კასალიდან ელიტისაკენ გასწია, სადაც სხვა ჯარებს შეუერთდება.

ახალი ამბავი

† იაკობ ლაზარეშვილის გარდაცვალება. ამას წინად ჩვენ ვაუწყეთ მკითხველთ, რომ ახალგაზდა ავტორი დრამისა „მტარვალი“ იაკ. ლაზარეშვილი მძიმედ ავად გახდა და ექიმების რჩევით სოფელში წავიდაო. გუშინ ჩვენს რედაქციას დეპეშით შეატყობინეს ახალციხიდამ, რომ იაკობ ლაზარეშვილი გარდაცვლილა.

დაწვრილებით ცნობას მკითხველებს შევატყობინებთ.

⁂ **წლის თავის პანაშვიდი ყოვლად სამღვდელო გაბრიელის ეპისკოპოსისა** გარდახდილ იქნება ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებისაგან, კვირას, ნაშუადღევის ორს საათზედ, ქვაშვეთის წმ. გიორგის ეკკლესიაში. ეჭვი არ არის, რომ ამ პანაშვიდს დიდ ძალი ქართველობა დაესწრება ნეტარ ხსენებულის და სათაყვანო გაბრიელის პატივსაცემლად.

⁂ **ნეტარ ხსენებულის ეპისკოპოზის გაბრიელის** პატივსაცემად ქ. ქუთაისში დანიშნული 26 იანვრისათვის ქართული წარმოდგენა «მოგონილი დეიდა“ გადადებულ იქმნება ორშაბათისთვის, 27 იანვარს.

⁂ **კავკასიის მთავარ-მართებელი.** ორშაბათს, 20 იანვარს, ხელმწიფე იმპერატორმა მიიღო კავკასიის მთავარ მართებელი თავ. გოლიცინი.

რუსეთის გაზეთები სწერენ, რომ თავ. გოლიცინი 20 თებერვალს წავა ტფილისში პეტერბურგიდგანო.

⁂ **საჩუქრები.** გზათა მინისტრმა ბრძანება გასცა, რომ 5,000 მანათი დაერიგოს იმათ, ვისაც უმსახურნია ბორჯომის რკინის გზის გაკეთებაზე.

⁂ **პეტერბურგის გუბერნიის თავად-აზნაურობას** განზრახვა აქვს დაარსოს საურთიერთო დამხმარებელი კასსა.

⁂ **შ. არაგვისპირელის ნაწერების გამოცემა.** ერთს ახალგაზდა კაცს განუზრახავს ცალკე გამოსცეს ჩვენის ახალგაზდა ნიჭიერ ბელეტრისტის შ. არაგვისპირელის ნაწერები. გიმომცემელს განზრახვა აქვს ერთ ტომად გამოსცეს ყველა მისი ნაწერები. სასურველია, შ. არაგვისპირელის ზოგი მოთხრობა პატარ-პატარა წიგნებადაც დაიბეჭდოს ხალხისათვის.

⁂ **შავი ჭირის გამო.** მთავრობის განკარგულებით, იმიერ-კასპიის მხარეს იგზავნება კავკასიიდგან ლონისძიებათა მისაღებად შავის ჭირის წინაალმდეგ 10 ექიმი: ბ-ნნი ბანიავსკი, ბერნატოვიჩი, გურკო, კრიბტოპენკო, როზმონინსკი და სხვა. („ნოვ. ობოზრ.»).

⁂ **რუსეთის მწერალთა საზოგადოება.** 15 იანვარს, რუსეთის მწერალთა საზოგადოების კრებაზედ დასრულდა სია ამ საზოგადოების დამაარსებელ წევრთა, სულ 148 წევრია; მათ შორის არიან პროფესორები: მარტენსი, კარეევი, პეტრუშევსკი, შენ—ბუტკინი, ვაგნერი, ლებედევი, სპასოვიჩი, პიპინი, სენატორი კონი; მწერლები: გრიგოროვიჩი, პოლონსკი, არსენიევი, ბობორიკინი, ვლადიმერ სოლოვიოვი, მიხაილოვსკი, ვას. ნემიროვიჩ-დანჩენკო, მორდოვცევი; რედაქტორები: სუვორინი, ნოტოვიჩი, უხტომსკი და სხვა. საზოგადოების მოქმედება დაიწყება იანვრის გასულს.

⁂ **პოლიტეხნიკუმი ტფილისში.** კავკასიაში სრულებით არ არის განვითარებული მრეწველობა და ამიტომ ძლიერ საჭიროა დაარსდეს ტფილისში საპოლიტეხნიკო ინსტიტუტი სამეურნეო-სამთო განყოფილებით.

⁂ **ბოდბის წმ. ნინოს მონასტრის** (სიღნაღის ახლოს) ხარჯი უკისრნია უწმინდესს სინოდს.

⁂ **სტუდენტების გაჭირება.** წმ. ვლადიმირის უნივერსიტეტის 90 სტუდენტი ისე არიან, თურმე, გაჭირებულნი, რომ სწავლის ფული ვერ შეუტანიათ და ამის გამო უნივერსიტეტიდგან დათხოვნილ იქმნებიან.

⁂ **ნავთის მამული.** თავ. კ. ი. მუხრან-ბატონმა შეიძინა რამდენიმე დესეტინა ნავთის მიწა ბაქოში. ნავთის ამოსაყვანად მუშაობა დაიწყება მალე.

⁂ **ქურდობა.** 22 იანვარს სოფ. დარჩელში, დღისით გაქურდეს იქაური აფთექის პატრონი კანდელაკი. ქურდები ვერ დაიჭირეს.

⁂ **ახალი სასარგებლო ნალი.** თერგის ოლქის მცხოვრებმა გამოიგონა ახალი ნალები ცხენებისათვის. ეს ნალი სრულებით ფეხს არა სტკენს ცხენსა, რადგანაც ლურსმით კი არ იჭედება, არამედ ისე გაკეთებული, რომ ჩლიქზედ თითონ მიემაგრება თავის თავად. ნალი ექვს წელიწადსა სძლებს თურმე. ეს ნალები მოსწონებია პეტერბურგის საინტენდატო მმართველობას.

⁂ **ძველი ხელთ-ნაწერი „დღიური“** ამბობენ, რომ წარსულს საუკუნეში, ერთს კათოლიკის მოძღვარს 1764—1800 წლებამდის უწერია თავისი „დღიური“ ქართულს ენაზედ, რომლის დღიურშიაც ძრიელ ბევრი საინტერესო ცნობები ყოფილა მოყვანილი საქართველოს შესახებ. ეს მოძღვარი ხოჯვანაანთ ივანე ყოფილა. ეს დღიური, თურმე, მის ნათესავებს დარჩენიათ დღევანდლამდე.

⁂ **ოსეთის ისტორია.** მოსე ჯანაშვილს დაუწერია ასეთი ისტორია რუსულ ენაზე, რომელი ისტორიაც ახლა იბეჭდება უკვე კავკასიის საზოგადოების გეოგრაფიულს ჟურნალში. ისტორიის უმთავრესი მასალები დაფუძნებულია მთლათ საქართველოს ისტორიის წყაროებზე და, როგორც ვიცით, ოსების ცხოვრებას დიდი კავშირი აქვს ქართლის ისტორიასთან.

⁂ **შესანიშნავი ძველი ხელთ-ნაწერი.** ტფილისში აღმოჩნდა მეტად ძველი „დაუჯდომელი“ იაკობ მოციქულისა, VII საუკუნეში ნაწერი, რომელიც მეტათ ძვირფას განძს შეადგენს ჩვენის უძველესის საეკკლესიო ისტორიისათვის, რადგანაც ეს წიგნი შედგენილია უკანასკნელ მსოფლიო კრებამდის.

⁂ **მრუშობის დასჯა.** ერთმა ყმაწვილმა კაცმა თავის ქვრივს დედას და მ. დარჩიას ს. ბოლოხაურში, მრუშობა შეამჩნია. უყარაულა მ. დარჩიას და როდესაც ნახა, რომ მის დედასთან მიდის, გზაში დაუხვდა და კეტი დაჰკრა თავში. მ. დარჩია ძლიერ არის დაშავებული.

⁂ **მინდვრის თაგვების წამალი.** ქალაქმა 120 დღიურ მიწაზედ გააშენა ტყე კუკიის მთებზედ. თითქმის ორმოცი სხვა-და-სხვა ჯურის ხე ჩაყარა და ყველამ ჩინებულად იხარა. ზოგი ხე დღეს ორ არშინ სიმაღლემდე აიყარა. რადგან ქალაქი არ უფრთხის არავითარს ხარჯს, რომ ამ ამაგმა უნაყოფოდ არ ჩაიაროს, ამიტომ იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ 5—6 წლის შემდეგ ქალაქის აღმოსავლეთ მიდამოში თვალი დაინახავს თუ სანატრელ ტყეს არა, ტყის ნასახს მაინც, რომელიც ათიოდე წლის განმავლობაში დაბურვილ ტყედ გარდაიქმნება. ყოველი გარემოება ხელს უწყობს ნერგების ზრდასა და აღორძინებას. ხოლო ამ უკანასკნელ დროს საშინლად გამრავლდა ქალაქის ნამუშავარში ვირთაგვა, რომელიც ზოგიერთ ჯიშს ნერგებისას ერთიან მუსრს ავლებს და უჭამს ფესვებს. ბევრი ღონე იხმარა ვირთაგვის წინააღმდეგ განსაკუთრებულმა კომისიამ, მაგრამ ვერაფრით ვერ უშველა. ბოლოს მცოდნე კაცებმა ურჩიეს მოშხამული ქერი, რომელსაც ამზადებს როსტოვში ერთი ბაღებისა და ყვავილების ფირმა. ამ დღეებში ქალაქის თავის მოადგილემ დეპეშითა სთხოვა ამ ფირმას, ერთი ფუთი მოშხამული ქერი გამომიგზავნეო. გირვანქა ამ ქერისა ღირს 80 კაპეიკი და, თურმე, უებარი წამალია წინაღმდეგ ვირ-თაგვასი.

⁂ **ქალაქის გამგეობის სადგური.** დიდს ვიწროებაშია დღეს ქალაქის გამგეობა. მისს ბუღალტერიას და კასას, მაგალითად, თითო ოთახი აქვთ, მეტი არა. ამ ოთახშივე უწყვიათ ყოველი დოკუმენტი და ანგარიში თვითოეულის მოხარჯისა. წარმოიდგინეთ, რომ მარტო სახლის პატრონთა რაოდენობა ქალაქში 14,000 სულამდე ადის. ყველა მათგანს განსაკუთრებული ანგარიში აქვთ ქალაქთან დაფასების ხარჯის შესახებ. ამდენივე ანგარიში სწარმოებს იმავ სახლების სახელმწიფო გარდასახადის შესახებ. ახლა აიღეთ ყოველი ვაჭარი ცალკე და სხვა მოხარჯე. დღეში ასობით მოდის ხალხი ბუღალტერიაში და ელის თავის ჯერსა. ადგილიც არ არის, რომ მომლოდინე ხალხი ჩამოჯდეს მაინც სკამზედ. ასეთსავე გაჭირვებაში არიან მოხელენიცა და მოხარჯენიც გამგეობის კასაში. ამავე დროს ქალაქის შენობაში მოთავსებულია კანცელარია ბ-ნ ტფილისის პოლიცმეისტრისა. ეხლა გამგეობა სთხოვს საბჭოს, რომ ამ კანცელარიისთვის გადადოს ერთი ასი თუმანი, რათა დაიქირავონ სახლი სადმე სხვა ადგილს და მისი ოთახები გააგანიერონ გამგეობის სხვა და სხვა ნაწილებისათვის, თუ ეს აზრი გამგეობისა მოიწონა საბჭომ, მაშინ განთავისუფლდება თითქმის 10 ოთახი და შესაძლებელ იქმნება ისე მოეწყოს გამგეობის კანცელარია, ბუღალტერია და კასა, როგორც შეჰფერის ამოდენა ქალაქის თვითმმართველობას, რომელიც მილიონზედ მომეტებულს ფულს იღებს მცხოვრებთაგან და ჩამოსაჯდომი სკამიც კი ვერსად დაუდგამს არა თუ მოხარჯეთათვის, არამედ თავის მოსამსახურეთათვისაც კი.

⁂ **ქურდობა შუა დღისას.** გუშინ მანუკ გასპარიანცს კირპიჩნი ქუჩაზედ მოეპარნა სამი ბატი. გზაზედ შემხვედრია ამავე ქუჩაზედ მცხოვრები ზაქარია ზუბიაშვილი, ამის დანახვაზედ დაუყრია ბატები და გაქცეულა, მაგრამ ზუბიაშვილს დაეჭირა და პოლიციაში ბატებიანათ წარადგინა. ზუბიაშვილმა გამოაცხადა: —ამას წინედაც დავიჭირე ქურდობაზედ, და რადგან აღმითქვა, აღარ ვიზამო, გაუშვიო.

⁂ **მხნე ბოქაული.** პოლიციის ბოქაული ბ. ბესარიონ დავითის ძე ქავთარაძე გადმოიყვანეს ნაქალაქევში ზესტაფონიდან. მკითხველებს მოეხსენება, რომ ჩვენში ერთობ გავრცელებულია ქურდობა; ამის გამო ამბობდნენ: ბ. ქავთარაძე თითქმის მოხუცებულია და ამისთანა უბედურებაში, როცა დასობით ურიდლად დარბიან ქურდები, რას გააწყობსო! მაგრამ, სასიამოვნოდ ჩვენდა ეს ბოქაული მეტად მხნე ყოფილა.

მოსვლისათანავე მიიქცია ბ. ქავთარაძემ საზოგადოების ყურადღება: უცებ შელაგმა თავ-ხედობა ღამის რაინდებისა: გამონახა მრავალი ნაქურდალი, დაიჭირა ოცდა ათამდის ქურდობაში დამნაშავენი და მიაქცია თავ-თავის ადგილას; აი მრავალთაგან ერთი მაგალითი ბ-ნ ქავთარაძის მხნეობისა. ძველი-სენაკის იარმუკაში, სადაც აუარებელი ხალხი თავს იყრის, მოჰპარეს ერთს კაცს, გვარად მელიას, ცხენი უნაგრიანად; მელია მივიდა ბ. ქავთარაძესთან, მაგრამ პასუხად ვერაფერი ნუგეში მიიღო. ბოქაული, თურმე, იმ აზრისა ყოფილა, რომ ცარიელი სიტყვა ვერაფერი ნუგეშიაო. მეორე დღეს, დილის ათს საათზე, მოიყვანა თვით ბოქაულმა ქავთარაძემ ცხენი უნაგრიანად და ქურდიც შეიპყრო.

⁂ **ძაღლების ხროვა ვორონცოვის ძეგლთან.** ორშაბათს 20 იანვარს ვორონცოვის ძეგლთან 14 წლის მოსამსახურე ბიჭი გიორგი [illegible] ერთმა ვეებერთელა კაპასმა ძაღლმა ამოიდო ქვეშ და საზარლად ხუთ-ექვსს ალაგას ამოაგლიჯა მკლავიდან და ხელიდან ხორცი. ხალხმა ძლივს გააგდებინა პირიდგან და ძლივს მოასულიერეს; საბედნიეროთ იქვე შეესწრო მოსწავლე ფერშალი, რომელმაც ნაკბენი შეუხვია და მიხეილის საავადმყოფოში გაგზავნა.

⁂ **ველური ხალხი ცირკში.** დღეს, 23 იანვარს, ჩამოვიდა ნიკიტინის

შავი ჭირი.

შავი ჭირი, საწინააღმდეგო ზომები, შავი ჭირის ამბები, შავი ჭირის ნიშნები და ავადმყოფობა, წამლები და თავის მოვლა.

ამ ჟამად მთელს ქვეყნიერობას ერთი-ღა სალაპარაკო აქვს, ყველაფერი მივიწყებული აქვს, მხოლოდ ერთი რამ ანაღვლიანებს, ერთი რამ მწარედ აფიქრებს—ეგ არის შავი ჭირი, რომელმაც ინდოეთში ქალაქ ბომბეიში იჩინა თავი და მუსრს ავლებს იქაურობას.

ყველა სახელმწიფოები, ყველა ერნი და ხალხნი, ყველა ქალაქნი და დაბა-სოფლები, ყველა მეცნიერნი და სწავლულნი, ყველა ჟურნალ-გაზეთები იმის ცდასა და მოფიქრებაში არიან, რომ როგორმე თავიდან აიცდინონ ეგ ყოვლად საშინელი და შემზარავი სენი—შავი ჭირი.

ერთის კვირის შემდეგ, 29 იანვარს ვენეციაში შეიკრიბება მსოფლიო კონფერენცია სანიტართა სხვა-და-სხვა საწინააღმდეგო ზომების მისაღებად. ის, რაც ამ კონფერენციაზე გადაწყდება, სავალდებულო იქნება ყველა სახელმწიფოებისათვის, ყველა ერთათვის.

ყველანი ბრალსა სდებენ ინგლისს და ოსმალეთს, განსაკუთრებით ინგლისს, რომელმაც პირად სარგებლობისთვის არავითარი ზომა არ მიიღო თავის დროზე, სანამ ჭირი მთელს ინდოსტანს არ მოედო. მხოლოდ ინგლისი და ოსმალეთი უგულოდ ეპყრობიან ამ საჭირ-ბოროტო საგანს. ინგლისი სიხარბისა გამო, რა არის, ჩემს მსოფლიო ვაჭრობას ზიანი არ მიეცესო, და ოსმალეთი კიდევ იმით, რომ მაჰმადთა მეჩითში მექაში არ აღუკრძალოს ურიცხვ მლოცველთა გამგზავრება.

ზოგიერთს სატახტო ქალაქებში უკვე კონფერენციები შეიკრიბა, მაგალითად, ამ ორი კვირის წინედ ბერლინში კრება იყო სანიტართა, სადაც გამოჩენილმა პროფესსორმა ფეიფელმა თამამად წარმოსთქვა, რომ ევროპა ვეღარ ასცდება შავ ჭირსაო. ამავე აზრისანი არიან განთქმულნი პროფესსორნი ვირხოვი, ავსტრიის პროფესსორი დრასმე და საფრანგეთის მეცნიერნი, პრუსტი და ბუარდელი.

ევროპაში ჭირის შემოტანა შესაძლებელია მხოლოდ მექიდგან და ბომბეიდან, რადგან ამ ადგილებში ყოველთვის დიდი მისვლა-მოსვლაა ევროპის ყველა ნავთ-სადგურებთან და ამის გარდა ბომბეიდგან ყოველდღე დიდ-ძალი ხალხი გარბის შიშით სხვა-და-სხვა ქვეყნებში და განსაკუთრებით ევროპაში. ბომბეიდან ერთის თვის განმავლობაში გაქცეულა 350,000 სული.

ამიტომ ყველა სახელმწიფოებმა დაადგინეს, რომ ჭირიან ადგილებიდან მგზავრებს უსიკვდილოდ გზა შეეკრათ ყველა ნავთ-სადგურებში. ზომები უკვე მიღებულია უზრუნველყოფისათვის, დაწესებულია სასტიკი კარანტანები და ჩვენმა მთავრობამაც შესაფერი ზომები მიიღო. როგორც მკითხველებმა უწყიან, პეტერბურგში უმაღლესად დაარსდა ამ საგნის შესახებ განსაკუთრებული კომისია პრინც ალექსანდრე პეტრეს ძე ოლდენბურგის თავმჯდომარეობით.

კაცობრიობის ისტორიაში არ არის მაგალითი, რომ სხვა-და-სხვა გადამდებ სენს და მოარულს ისეთი საზარო ვნება მოეტანოს, როგორც შავს ჭირს. ყვავილი, ქუნთრუშა, ხუნაგი, სახადი, ხოლერა და სხვა შედარებით შავ ჭირთან არაფერია.

შავი ჭირი პირველად ევროპას მოევლინა 1346 წელს სიცილეთის კუნძულს, შემდეგ წელს მძვინვარებდა კუნძულ კიპროსზედ, მერე გადავიდა საბერძნეთში, იტალიაში და საფრანგეთში. ორის წლის შემდეგ 1348 წელს მოედო ისპანიას, ინგლისს, ნორვეგიას, შლეზვიგს, უტლანდიას და დალმაციას; ერთი წლის შემდეგ გადავიდა მთელს გერმანეთში და 1350 წელს მოეფინა მთელს რუსეთს.

ოთხი თუ ხუთი წლის განმავლობაში შავმა ჭირმა ზემოდ ხსენებულ სახელმწიფოებში იმსხვერპლა 25,000,000 სული ორივე სქესისა. შემდეგ საუკუნეშიაც შავმა ჭირმა ხელ-ახლად მოიარა მთელი ევროპა და დიდ-ძალი ხალხი იმსხვერპლა.

მე-XVII საუკუნეშიაც მძვინვარებდა ევროპაში და, სხვათა შორის, მარტო მოსკოვში 125,000 სული დაელიტა 1655 წელს და გენუაში 60,000 კაცი. მეთვრამეტე საუკუნის

ცირკისათვის 24 ველური ქალი და კაცი ამერიკიდან.

⁂ **შემოწირულობა.** მცხეთის სახალხო წიგნთსაცავის გამგეობა გულითად მადლობას უძღვნის შემდეგ პირებს, რომელთაც შემოსწირეს მცხეთის სამკითხველოს წიგნები: ნინო ბაქრაძეს, ელ. დეკანოზოვის ქალს, იასონ ფანიაშვილს და ი. იმედაშვილს.

⁂ **მეცხვარის მოკვლა.** 18 იანვარს, შაბათ ღამეს, გათენებისას არწივიშვილის ფარეხში ს. სართიჭალაში ბოროტ მომქმედებმა მოჰკლეს პატრონი ფარეხისა არწივიშვილი. მკვლელები ჯერ ვერ შეუპყრიათ, საქმე ასე იყო: გათენების ხანს მოჯამაგირეს არწივიშვილისას გაღვიძებია ცხვრის დაფრთხობაზე და დაუძახნია: ე ცხვარი რამ დააფრთხო? გიგო წამომხტარა, მაგრამ ამავე დროს გავარდნილა თოფი და არწივიშვილი მკერდში დაჭრილი ძირს დაცემულა. მკვლელები მოჯამაგირის ჩვენებით ოთხნი ყოფილან და თოფის გავარდნისთანავე გაქცეულან. ადგილობრივმა ბოქაულმა მოჯამაგირე დაატუსაღა, რადგან მასზე აქვთ გუმანი მიტანილი: ამბობენ წინად მოჯამაგირე არწივიშვილთან ცუდ განწყობილებაში ყოფილაო. დაწვრილებით ხვალ ვაცნობებთ მკითხველებს.

⁂ **შემოწირულობა.** ჩვენა გვთხოვენ გულითადი მადლობა გამოვუცხადოთ „ცნობის ფურცლის“ საშუალებით ბ-ნს შამშე თოფურიას, რომელმაც სოხუმის იაფ-ფასიან წიგნთსაცავ სამკითხველოს 5 მანათი შესწირა და ბ-ნს ა. უსტაბ—ს, იმავე დაწესებულების სასარგებლოდ 3 მანათის შემოწირვისათვის.

სოხუმის იაფ-ფასიან წიგნთ-საცავ სამკითხველოს გამგეობა.

⁂ მოვაგონებთ ჩვენს მკითხველებს, რომ ხვალ, 26 იანვარს, გელათის მონასტერში გარდახდილ იქმნება შანაშვიდი ნეტარ ხსენებულის გაბრიელ ეპისკოპოსის სულის მოსახსენებლად. ამ დღეს სრულდება ერთი წელიწადი, რაც გაბრიელ ეპისკოპოსი გამოეთხოვა თავისს სამწყსოს და საყვარელს სამშობლოს.

აქვე ვბეჭდავთ შემდეგ სიას ხატებთა და სახარების, რომელნიც შეწირულ იქმნენ დღესა დაკრძალვისა, 10 მარტს 1896 წელსა, იმერეთის ეპისკოპოსის გაბრიელისა გელათის ტაძარში, სხვადასხვა საზოგადოებათაგან, შესამკობლად განსვენებულის საფლავისა.

1. სახარება ქართული, ხის, ხავერდით გადაკრულ, ყდაში; წინა პირი შემკობილია ოთხივე კუთხე ოთხთა მახარობელთა ხატებით; შუაგული ქრისტეს სახითა, გარშემო ქვებით; ყველა ვერცხლისა მოოქრული; უკანა პირი: ოთხივე კუთხეებში ვარსკვლავები, შუაში კიდევ ვარსკვლავი, რომლისაც შუაგულ არის გამოხატული იერუსალიმი და ჯვარი. ყველა მოოქრული ვერცხლია. შუალა ვარსკვლავის ზემოდ და ქვემოდ ვერცხლის პაწაწა ფიცრები, ზედ წარწერით: „ნიშნად საუკუნოდ ხსენებისა ახლად განსვენებულს ამიერ სოფლით დაუვიწყარს იმერეთის მწყემს-მთავარს გაბრიელს, მახარებელს სიტყვისა ღვთისათა, მოძღვარს სარწმუნოებისა და ქრისტიანულ კეთილ-მსახურებისას კავკავის მადრიელ ქართველთაგან“; ქვემოდ: „მოიხსენენით წინამძღვარნი იგი თქვენნი, რომელნი გეტყოდეს თქვენ სიტყუათა მათ ღმრთისათა, და ხედვიდით გამოსვლასა მას ცხოვრებისა მათისასა და ჰბაძვედით სარწმუნოებასა მათსა“. ებრ. 13, 7. 10 მარტს 1896 წელს.

2. ღვთის-მშობლის ხატი. 1860—1896- „მწყემსთ-მთავართ გაბრიელ, ევედრე ღვთის-მშობელს მისის წილხდომილის ქვეყნისათვის“. ქუთათურის ქალებისაგან.

3. წმიდა გიორგის ხატი. „აქვი ენა ჩემი სასასა ჩემსა, არა თუ მოგიხსენო შენ“. ფსალმუნი 136. ჭეშმარიტს მწყემს-მთავარს გაბრიელის ხსოვნას. ტფილისის სემინარიის მოწაფეთაგან. 10 მარტს, 1896 წ.

4. ღვთის-მშობლის ხატი. „აჰა მე და ჩემი სამწყსო“. სამეგრელოს სასულიერო სასწავლებლის მასწავლებელთა და მოსწავლეთაგან ეპისკოპოსის გაბრიელის საუკუნო ხსოვნას.

5. წმ. ნინოს ხატი. ტფილისის სათავად-აზნაურო სკოლისაგან.

6. მაცხოვრის ხატი. „დაუვიწყარს საქართველოს შვილს გაბრიელს“. ოდესაში მცხოვრებ ქართველებისაგან.

7. მაცხოვრის ხატი. „დაუვიწყარს მწყემსთ-მთავარს იმერეთის ეპისკოპოზს გაბრიელს. დაობლებულთა მისთა სამშობლოის შვილებთა“. გურიის თავად-აზნაურთაგან.

8. ღვთის-მშობლის ხატი. „დაუვიწყარს გაბრიელ ეპისკოპოსს“. ტფილისის ფოსტა-ტელეგრაფის ქართველთ მოხელეთაგან.

9. მაცხოვრის ხატი. «მისს საპატიო წევრს გაბრიელ ეპისკოპოსს“. წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებისაგან.

10. მაცხოვრის ხატი. „დაუვიწყარს მწყემსთ მთავარს ყოვლად სამღვდელო გაბრიელს იმერეთის ეპისკოპოსს“. დაბა ხონის მცხოვრებთაგან.

11. ღვთის-მშობლის ხატი. „სასიქადულო მადლით შემოსილს მღვდელ-მთავარს მამა გაბრიელს“. ბათუმელ ქართველ ნოქრებისაგან,

12. ღვთის-მშობლის ხატი. „განსვენებულს დაუვიწყარს მწყემსთ-მთავარს გაბრიელს“. ქუთაისის ხელოსანთა საზოგადოებისაგან.

13. მაცხოვრის ხატი. „ღვაწლით შემოსილს ეპისკოპოსს გაბრიელს“. ექვთიმე ხელაძის სტამბიდან.

14. წმიდა ნინოს ხატი. „დაუვიწყარ ზნეობრივ მოძღვარს ყოვლად სამღვდელოდ-სამღვდელოს გაბრიელს“. უგირილას კაჭრებისაგან.

15. მაცხოვრის ხატი. მისს ყოვლად უსამღვდელოესობას გაბრიელს“. ქუთაისის სამეურნეო სასწავლებლის მოწაფეთაგან.

16. მაცხოვრის ხატი. „იმ. ეპის. გაბრიელს სახსოვრად“. გამოგზავნა დეპუტაციამ ბაგრატ კაჭარავა.

17. მაცხოვრის ხატი. „დიდებულს მოძღვართ-მოძღვარს იმერეთის ბრწყინვალე ეპისკოპოსს განსვენებულს გაბრიელს“. გორის ქართველთა საზოგადოებისაგან.

18. ღვთის-მშობლის ხატი. «უძვირფასეს მწყემსთ-მთავარს გაბრიელს». სოხუმელთაგან.

19. ღვთის მშობლის ხატი. ქალაქ ფოთის მცხოვრებთაგან.

20. მაცხოვრის ხატი. „დაუვიწყარ მღვდელ-მთავარს გაბრიელს“, განჯის ქართველობისაგან.

21. ღვთის-მშობლის ხატი. «მარად სახსოვარს გაბრიელ ეპისკოპოსს“. ბათომელ ქართველთაგან.

22. მაცხოვრის ხატი. „დაუვიწყარს მწყემსთ-მთავარს ყოვლად სამღვდელო გაბრიელს იმერეთის ეპისკოპოსს“. ქუთაისის ქალაქის მცხოვრებთაგან.

23. ღვთის-მშობლის ხატი. „ჩვენს დიდებულს სოფლის შვილს ყოვლად-სამღვდელო იმერეთის ეპისკოპოსს გაბრიელს“. ბახველებისაგან.

24. „მარად სახსოვარს მზრუნველს მამას იმერეთის ეპისკოპოსს გაბრიელს“. მისს მიერ დაარსებულს გაბრიელის ეპარქიალურის საქალებო სასწავლებლისაგან.

25. წმიდა გიორგის ხატი. „ჭეშმარიტების მქადაგებელს გაბრიელ ეპისკოპოსს“. ტფილისის ქართველთ მოკაჭრეთაგან.

26. წმ. დავით და კონსტანტინეს ხატი. „დაუვიწყარ ზნეობრივ მოძღვარს ყოვლად სამღვდელოდ-სამღვდელოს გაბრიელს“. შორაპნის მაზრის კლდეეთის საზოგადოებისაგან.

27. მაცხოვრის ხატი. „დაუვიწყარს ზნეობრივ მოძღვარს ყოვლად სამღვდელოდ-სამღვდელოს გაბრიელს“. სამტრედიის მაზრის კლდეთის საზოგადოებისაგან.

28. ლამპარი. უგანათლებულეს კნეინა ბაგრატიონისაგან.

29. ლამპარი. ბოკერიასაგან და სხ.

⁂ **რკინის გზის ბრალია.** ორი კაცი სანადიროდ წავიდა ავჭალისაკენ, ზარბაზნის ხმა მოესმათ. ერთმა საათი გასინჯა და სთქვა:—ეს რა ადრე დასცეს ზარბაზანი, თორმეტს ჯერ 10 წუთი აკლიაო,--ადრე კი არა, ეგ იმიტომ არის, რომ ქალაქიდგან აქ ზარბაზნის ხმა რკინის გზით მოდისო,—მიუგო მეორემ.

⁂ **მოსწრებული სიტყვა.** კბილის ექიმს ბ-ნს ვარლამს ჰიჰინაძეს ჰკითხეს ერთხელ: „ერთი ეს მიბძანეთ, თქვენ ჰავჰავაძისტი ხართ, თუ მაჩაბელისტი?“

— მე დანტისტი გახლავართ,— მოსწრებულად უპასუხა ბ-ნმა ჰიჰინაძემ.

თეატრის მატიანე.

ახალი პიესა

ჩვენ გვქონდა შემთხვევა წავვეკითხა ახლად დაწერილი ჩვენი მწერლის ან. ფურცელაძის მიერ ტრაღედია „ივდითი“... შინაარსი ამოღებულია დაბადების მატიანედგან. გაძლიერებული ბაბილონის მპყრობელი ნაბუქოდონოსორი ღმერთად აღიარებს თავს. ყოველნი ხალხნი, გარდა ისრაილისა, თაყვანსა სცემენ, ვით ღმერთს. ისრაილზედ განრისხებული, უბრძანებს თავის სარდალს ოლონფერეს, აღხოცოს და დაანგრიოს მთელი ისრაილი. ისრაილთ მხსნელად მოევლინება მანასეს ქვრივი ივდითი. ეს ქვეყნისა და რჯულისათვის თავდადებული მანდილოსანი მივა ოლონფერეს ბანაკში, მიიღებს, ვითომ, მოღალატის სახეს.... ოლონფერეს იმისი სიმშვენიერებით გონება უბნელდება... უნდა, დასტკბეს ხვევნა-ალერსში... ივდითი ცბიერებით აქეზებს თან-და-თან.. ოლონფერე ნადიმს გამართავს... ღვინოს ეწაფება... თანდათან ითვრება ეშხით და ღვინით... სურს იგემოს სიტკბოება ლამაზის ქალის ალერსში, მაგრამ დამთვრალი დაეცემა ლოგინზედ და დაეძინება. ივდითმა მიაღწია თავის საწადელს... აი იმის წინა გდია მძლავრი ოლონფერე.. იმისი ქვეყნის, იმისი რჯულის წამპილწველი... ხვალ, თუ გაიღვიძა, იგი მიწასთან გაასწორებს... ისრაილს, ივდითის დებს, ძმებს... ქვაქვაზედ აღარ დარჩება იმის ღმერთისაგან დალოცვილ სამშობლოში.. მაგრამ არა... არ უნდა. არ უნდა გაიღვიძოს მან... ივდითი მოავლებს ხელს მახვილს, აღმართავს მაგრათ და ერთის დაკვრით თავს მოაცილებს... პიესა დაწერილია ჩინებულის ენით და მოქმედების დროის ზედ-მიწევნით შესწავლით. ჩვენის აზრით ამ ტრაღედიის ქართულ სცენაზედ კარგათ წარმოდგენა დიდ შთაბეჭდილებას მოახდენს მაყურებლებზედ.

ვაჭრების და იჯარადრების საყურადღებოდ.

ტფილისის საგუბერნიო მმართველობა აცხადებს, რომ 3 თებერვალს 1897 წელს გაიყიდება ერთ სართულიანი სახლი ტფილისის მოქალაქის სოლომონ აკოფას-ძე კუზიკვისა, რომელიც იმყოფება სოლოლაკში. მიწის ზომა $21{}^{1}/_{2}$ ოთხ-კუთხი საჟენი. დაფასებულია 216 მანათად.

თიანეთის სასამართლოს ბოქაული აცხადებს, რომ 14 თებერვალს 1897 წელს გაიყიდება მამული სვიმონ ბოდაკვისა, რომელიც იმყოფება სოფ. სმეტაში. მამული აწერილია გასასყიდათ 200 მანათში.

სურამის სასამართლოს ბოქაული ნ. პანოვი აცხადებს, რომ 14 თებერვალს 1897 წელს, დილის 10 საათზედ, გაჰყიდის შემდეგ პირების მამულებს:

1) ქნ. მარიამ ფალავანდიშვილისა სახნავ-სათესი მიწები და ტყე.

2) თავ. მიხეილ დავითის ძე ციციშვილისა ${}^{1}/_{16}$ ნაწილი „საციციანო მთაში“ და 120,000 დესეტინა სახნავი მიწა.

3) აზ. ევანტია გიორგის სულის ორჯონიკიძისა, ქვიდით საკანელი.

მეორე ნახევარში 1770 წელს შავი ჭირი ისევ მოედო ევროპას და განსაკუთრებით ვალახეთს, მოლდავას და რუსეთს დიდი ზიანი მისცა.

ამ საუკუნის დასაწყისში ჭირი ეწვია ოსმალეთს ბოლკანეთის მხარეს და განსაკუთრებით ბოსნეთსა. საქართველოშიაც ბევრი ვნება მისცა ჭირმა. სულ უკანასკნელად ევროპაში ჭირი იყო 1830 წელს ისევ ბოლკანეთის მხარეს და 1878 წელს რუსეთშიაც იჩინა თავი ეგრედ წოდებულ „ვეტლიანის ჭირმა“, რომლის საწინააღმდეგოდ გრაფი ლორის-მელიქოვი იყო მთავრობისაგან გაგზავნილი.

მას შემდეგ შავი ჭირი ევროპას არ სტუმრებია, მაგრამ აზიაში კი ხშირად ავლებდა მუსრს. 1836 წელს ინდოეთში გაძლიერდა; 1841 წელს პურეთში კაბადოკიაში და სომხეთში, ხოლო ამ ორი წლის წინედ 1894 წელს ჩინეთში გახშირდა და დიდ ძალი ხალხი იმსხვერპლა, თითქმის მილიონ ნახევრამდე სული დახოცა. ამ ჟამად კი ბომბეიში ყოველ-დღე ათასობით ჟლეტავს ხალხს, განსაკუთრებით იმ უბნებში, სადაც სიღარიბე და უსუფთაობა სუფევს.

ცნობილია, რომ ის ავადმყოფისაგან ხუთის მეტი აღარა სძლებს; ათასში სამოცი, ოთხმოცი კაცი თუ გადარჩება. ნიშნები შავი ჭირისა მეტად მარტივია: თავდაპირველად გულის რევა იცის, ზმორება, ციებ-ცხელება, უღონობა, გამწარებული თავის ტკივილი, გონების დაკარგვა და ოთხი-ხუთის საათის შემდეგ ულმობელი, უსაშველო სიკვდილი. ათასში ერთხელ მოხდება, რომ შავი ჭირით ავადმყოფობამ გასტანოს ორი სამი დღე. ასეთ შემთხვევაში ოდნავ მაინც არის იმედი გადარჩენისა.

ჭირიანს უსივდება იღლიის ან უფრო ხშირად ლაჯების ჯირკვლები, ჩირქდება და დაუყოვნებლივ ჰკლავს. ამასთანავე შავი ჭირი ერთბაშად როდი ატყობინებს კაცს, რომ იგი ავად არის. შესაძლებელია, ადამიანი ჭირით ათი თორმეტი დღე იყოს ავად და მაინც ვერ შეატყოს თავის თავს. ჭირის ულმობელი ზედგავლენა იწყობა მას შემდეგ, როცა შავი ჭირის მიკრობები სისხლს შხამავენ.

ამ ორის წლის წინედ, როცა ჩინეთში მძვინვარებდა ჭირი, ექიმები შეუდგნენ მის გამოკვლევას და საუბედუროდ ვერას გახდნენ. ერთმა იაპონიის მსწავლულმა ექიმმა ქიტაზატომ აღმოაჩინა შავი ჭირის ბაცილა და მერე მას მიჰყვნენ სხვებიც.

სხვათა შორის, საფრანგეთის პროფესორ იერინგმა ბევრი იმეცადინა ჭირის ბაცილების შესწავლაზე. ჭირის ბაცილები საოცარის სისწრაფით მრავლდება თურმე ერთს ადგილას, განსაკუთრებით იღლიის და ლაჯის ჯირკვლებში და მერე შხამავს მთელს სისხლს ადამიანისას.

განსაკუთრებული წამალი შავი ჭირისაგან ჯერ-ჯერობით არ მოუგონია ადამიანის გონებას. თუ არ მივიღებთ მხედველობაში იერინგისაგან შემოღებულ აცრას, რომელიც, თურმე, შველის შავი ჭირისაგან. ასაცრელ წამალს ამ ჟამად ამზადებენ პარიზში პასტერის ინსტიტუტში და აგრეთვე გერმანეთშიაც. პროფესსორ ზირინგმა ასაცრელი წამალი უფრო გააუმჯობესა; თურმე, წამალს ცხენის შრატისაგან ამზადებენ. ერთის ცხენისაგან მიღებული წამალი ჰყოფნის 60—80 ავადმყოფს.

ხსენებულ ასაცრელ წამალს ეხლა ყველა სახელმწიფოები ჰყიდულობენ, ან თვით შეუდგნენ მზადებას, თვით ბომბეიში პროფესსორი ჰავკინი, ტომით რუსეთის ებრაელი, აცრით, თურმე, ბევრს შველის. აცრის გარდა შავი ჭირის საწინააღმდეგოდ ხმარობენ სულემას, რომელსაც, თურმე, ავადმყოფის სისხლში უშვებენ. ავადმყოფმა თუ ოფლი მოიდინა, ადვილად მორჩება.

როგორც ვსთქვით, განსაკუთრებული წამალი არა არის რა. საქმე უფრო თავის შენახვაა, სიფრთხილე, რომ ჭირი არ გადავიდეს და არ დაშხამოს ჯანმრთელი კაცი. სისუფთავე, კარგი ჭამა-სმა, სუფთა ჰაერი და ჰიგიენურ წეს-რიგზე ცხოვრება უპირველესი საშუალებაა გადარჩენისათვის.

ცნობილია, რომ შავი ჭირი უფრო ერევა ბავშვებს, უღონოთ, სუსტთ და ხანში შესულებს, ბებრებს. ახალგაზდა და ჯანმრთელნი, ჯანსაღნი კაცნი ჭირს ადვილად უძლებენ.

* * *

ეროვნული ბიბლიოთეკა

4) ეკატერინე ალექსის ასულის ზელიძესა.

5) გლეხების გიგო და თედო გაბრიელის ძეთა ბოლოტაშვილებისა.

6) გლეხის გიგო გიორგის ძის ასპინძელაშვილისა.

დაწვრილებით პირობის შეტყობა შეიძლება სურამის ბოქაულთან.

გემების მიმოსვლა შავ ზღვაზედ

სატვირთო—პასაჟირო გემები

ბათომიდან 1) გემი სწრაფის რეისით გადის შაბათობით, შუადღის 12 საათზედ, შეივლის ნოვოროსიისკში, იალტაში და სევასტოპოლში.

ბათომიდან 2) პირველი ირგვლივის გზის გემი გადის შაბათობით, ღამის 2 საათ, შეივლის ყველა ნავთსადგურებში.

ბათომიდან 3) მეორე ირგვლივისს გზის გემი გადის სამშაბათობით, ღამის 2 საათზედა., შეივლის ყველა ნავთ-სადგურებში.

ბათომიდან 4) მესამე ირგვლივის გზის გემი—პარასკეობით, ღამის 2 საათზედა., შეივლის ყველა ნავთ-სადგურებში.

ბათომიდან პირდაპირი გემი ხუთშაბათობით, შუადღის 12 საათზედ; შეივლის ნოვოროსიისკში, ქერჩში, ფეოდოსიაში, იალტაში და სევასტოპოლში.

საბარგო-საპასაჟირო გემები.

ბათომიდან გადიან პარასკეობით, 8 ს. საღამოზე. შეივლიან ყველა ნავთ-სადგურებში.

ბათომიდან გადიან ოთხშაბათობით, ღამის 2 საათზედ, შეივლიან ფოთში, ნოვოროსიისკში და სევასტოპოლში.

ბათომში მოდიან გემები

ირგვლივის გზის გემები მოდიან ბათომში ორშაბათობით, ხუთშაბათობით და პარასკეობით, საღამოთი.

პირდაპირი გზის გემები მოდიან ბათომში ოთხშაბათობით, დილით.

სწრაფი რეისის გემები მოდიან ბათომში პარასკეობით, ნაშუადღევს.

საბარგო-საპასაჟირო გემები, პირდაპირი, სამშაბათობით, ნაშუაღამევს. ჩვეულებრივი—პარასკეობით, შუადღეს.

განცხადებანი

მასწავლებელი

მიხეილ ნასიძე

ამზადებს მოწაფეებს ალექსანდრეს საოსტატო ინსტიტუტში შესასვლელად. მოწაფეს უნდა ჰქონდეს დასრულებული სამოქალაქო სასწავლებელი.

ადრესი: ქ. ტფილისი, მიხეილის ქუჩა, სახლი ანდერსონისა, № 149.

გამოვიდა ახალი წიგნი

მთიულეთი 1804 წ.

ა. ფრონელისა.

ფასი 70 კ.

ისყიდება „წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების" წიგნის მაღაზიაში და ქართულ წიგნების გამომცემელ ამხანაგობის კიოსკში.

წმინდა შემოსავალი გადადებულია წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების სასარგებლოდ. (15—13)

ახალი სასტუმრო

არარატი

დაბა დილიჟანში.

კარგად მორთული ნომრები და საუკეთესო ბუფეტი.

ყარსში მიმავალი მგზავრები და ახალ რკინის გზის იჯარადრები უკეთესს ადგილს ვერ იპოვნიან დილიჟანში ღამის გასათევად.

ფასები ძლიერ იაფია

სასტუმროს პატრონი ბესარიონ ი. შაფაქიძე.

Новая гостиница „АРАРАТЪ", въ уроч. Делижанъ.

Цѣны умѣренныя.

Содержатель В. И. Шапакидзе.

(15—3)

ქარხანა მანქანების და თუჯის ჩამოსასხმელი

ინჟენერების

იარალოვისა და ალიხანოვისა

ტფილისში.

მუდამ ჟამს ღებულობს ყოველგვარ შეკვეთას.

НАСОСЫ

центробѣжные, Летестю

и др. рекомендуетъ

Машино-строительный, чугунно-литейный и котельный заводъ

инженеровъ

ЯРАЛОВА и АЛИХАНОВА

въ Тифлисѣ.

(100—3)

ПЕРВЫЙ ВЪ РОССІИ ЖУРНАЛЪ, ИЛЛЮСТРИРОВАННЫЙ КРАСКАМИ.

ОТКРЫТА ПОДПИСКА НА 1897 ГОДЪ НА

X-й годъ изданія. **„СѢВЕРЪ".** X-й годъ изданія.

ЕЖЕНЕДѢЛЬНЫЙ ИЛЛЮСТРИРОВАННЫЙ ЛИТЕРАТУРНО-ХУДОЖЕСТВЕННЫЙ ЖУРНАЛЪ.

Въ 1897 г. журналъ будетъ выходить въ томъ же форматѣ на велeневой бумагѣ и въ изящной обложкѣ.

Въ литературномъ и художественномъ отношеніяхъ редакція неуклонно будетъ стремиться дать своимъ подписчикамъ наиболѣе выдающіяся произведенія писателей и художниковъ, какъ русскихъ, такъ и иностранныхъ, за силу таланта и извѣстность которыхъ достаточно говорятъ такія имена какъ: Н. А. Александровъ, А. В. Амфитеатровъ (Old gentleman), А. Афанасьевъ, И. Бунинъ, Ю. Бѣляевъ, Васильковскій, Ѳ. Карѣевъ, А. А. Коринфскій, А. В. Кругловъ, К. И. Льдовъ, В. С. Лихачевъ, В. И. Немировичъ-Данченко, В. Никольскій, И. Позняковъ, И. Н. Потапенко. гр. Е. А. Саліасъ, К. К. Случевскій, М. Славинскій, проф. Н. Сорокинъ, К. Фофановъ, О. Чумина. I. I. Ясинскій и художниковъ: проф. К. Айвазовскій, В. М. Васнецовъ, М. А. Зичи, Н. Н. Каразинъ. К. Кондратенко, проф. Л. Лагоріо, проф. В. Маковскій. проф. А. Мещерскій, академикъ А. И. Новоскольцевъ, проф. Г. Семирадскій. проф. П. Сверчковъ, Н. Соколовъ, Шильдеръ, проф. И. И. Шишкинъ и др. произведенія которыхъ были помѣщены въ 1896 г.

Въ 1897 г. подписчики журнала „Сѣверъ" получатъ:

52 №№ роскошно иллюстрированнаго журнала, изъ которыхъ съ цвѣтными и тоновыми рисунками извѣстныхъ художниковъ **12 №№**

Съ № 1-го будетъ печататься большой новый историческій романъ нашего извѣстнаго писателя и сотрудника „Сѣвера" Гр. Е. А. Саліаса:

„ВТОРАЯ САЛТЫЧИХА"

12 №№ ежемѣсячнаго журнала **„ПАРИЖСКІЯ МОДЫ"** со множествомъ рисунковъ въ текстѣ, выходящихъ одновременно съ однимъ изъ извѣстныхъ парижскихъ модныхъ журналовъ, съ которымъ редакція вошла въ соглашеніе.

12 №№ Выкроекъ, узоровъ, рукодѣлій, вышивокъ и монограммъ на отдѣльныхъ листахъ.

12 №№ ежемѣсячнаго журнала **„ХОЗЯЙСТВО и ДОМОВОДСТВО"**, въ которомъ будутъ даваться всѣ полезные совѣты и указанія, необходимыя для сельскаго хозяйства и домашняго обихода.

12 томовъ **„БИБЛІОТЕКИ СѢВЕРА"**, каждый томъ объемомъ отъ 10 до 15 листовъ убористой печати, въ которыхъ будетъ дано:

Собраніе романовъ

ГЕНРИКА СЕНКЕВИЧА:

1) „Огнемъ и Мечемъ" историч. ром. въ 4 ч. 2) „Потопъ" истор. ром. въ 6 ч. 3) „Панъ Володыевскій" историч. ром. въ 3 ч.

Романы эти, не говоря уже объ ихъ глубоко захватывающемъ интересѣ, представляютъ весьма цѣнное пріобрѣтеніе для библіотеки каждаго читателя.

Въ отдѣльной продажѣ подобныя изданія стоютъ не менѣе 12 руб.

КРОМѢ ТОГО ПОДПИСЧИКИ ПОЛУЧАТЪ

БЕЗПЛАТНО:

12 художественныхъ премій—**КАРТИНЪ ВЪ КРАСКАХЪ**, исполненныхъ новѣйшими усовершенствованными фото-и хромотипическими способами.

Несмотря на необходимость весьма большихъ затратъ для такого дорогого и роскошнаго изданія

ПОДПИСНАЯ ЦѢНА ОСТАЕТСЯ ПРЕЖНЯЯ:

6 Р. Безъ доставки въ С.-Петербургѣ.

Допускается разсрочка: при подпискѣ—4 р., къ 1-му Іюня 3 р.

Съ доставкою и пересылкою во всѣ города За границу 11 р. **7 Р.**

Адресъ Главной конторы жур. „Сѣверъ": Спб. Екатерининская, 4.

Редакторъ Н. А. Александровъ

Издатель Н. Ѳ. Мертцъ.

(6—3).

ОТКРЫТА ПОДПИСКА

на ежедневную политическую, литературную и экономическую газету

НОВОСТИ

и на еженедѣльный художественный журналъ

„ПЕТЕРБУРГСКАЯ ЖИЗНЬ"

1897 ГОДА.

Изданія ВЫСОЧАЙШЕ утвержденнаго акціонернаго общества

„ГУТТЕНБЕРГЪ"

подъ редакціею О. К. НОТОВИЧА.

◆

Подписка на „Новости" въ 1897 году.

На 1-е (большое) изданіе:

	На годъ		11 м.		10 м.		9 м.		8 м.		7 м.		6 м.		5 м.	
	Р.	К.	Р.	К.	Р.	К.	Р.	К.	Р.	К.	Р.	К.	Р.	К.	Р.	К.
Безъ доставки . . .	14	50	13	—	12	—	10	50	9	80	9	—	8	—	6	80
Съ дост. по гор. почтѣ	16	—	15	—	13	50	12	—	11	—	10	—	9	—	7	50
Съ перес. иногороднимъ	17	—	15	50	14	50	13	50	12	50	11	30	10	—	8	50
За границу	26	20	24	50	23	—	21	—	18	50	16	—	14	—	12	—

	4 м.		3 м.		2 м.		1 м.	
„ „ „ „	5	50	4	—	2	80	1	50
„ „ „ „	5	80	4	50	3	30	1	80
„ „ „ „	7	—	5	50	4	—	2	—
„ „ „ „	10	—	8	—	6	—	3	50

вмѣстѣ съ „Петербургской Жизнью".

	на годъ	11 м.	10 м.	9 м.	8 м.	7 м.	6 м.	5 м.	4 м.	3 м.	2 м.	1 м
Съ достав. по гор. почтѣ	17 —	16 —	14 50	13 —	12 —	11 —	10 —	8 50	6 80	5 50	4 30	2 80
Съ перес. иногороднимъ	18 —	16 50	15 50	14 50	13 50	12 30	11 —	9 50	8 —	6 50	5 —	3 —
За границу	27 20	25 5о	24 —	22 —	19 50	17 —	15 —	13 —	11 —	9 —	7 —	4 50

Подписывающіеся на „Новости" вмѣстѣ съ «Петербургскою Жинью»

доплачиваютъ къ подписной цѣнѣ на „Новости" только одинъ рубль.

Разсрочка платежа годовой подписной цѣны допускается: для служащихъ—по третямъ черезъ ихъ казначеевъ, а для другихъ лицъ—по соглашенію съ конторою; взносы по разсрочкѣ производятся; гг. иногородними подписчиками при подпискѣ—7 руб. (вмѣстѣ съ журналомъ „Петерб. жизнь" 8 р.), въ концѣ марта—7 руб. и въ началѣ августа—3 руб.; городскими: при подпискѣ 5 руб. 50 коп. (вмѣстѣ съ журн. „Петерб. Жизнь" 6 р. 50 к.), въ концѣ марта—5 р. 50 к. и въ концѣ іюня 5 р.

Подписка принимается только съ 1-го числа каждаго мѣсяца и не далѣе конца текущаго года.

Деньги и письма адресуются: Петербургъ, въ контору газеты „Новости" (Б. Морская, 17). Адресъ для телеграммъ: Петербургъ, „Новости".

На 2 е (малое) иданіе:

	на годъ		11 м.		10 м.		9 м.		8 м.		7 м.		6 м.		5 м.		4 м.		3 м.		2. м.		1 м.	
	р.	к.	р.	я.	р.	к.	р.	к.	р.	к.	р.	к.	р.	к.	р.	к.	р.	к.	р.	к.	р.	к.	р.	к.
Съ дост. по город. почтѣ	9	—	8	50	8	—	7	50	7	—	6	50	6	—	5	—	4	—	3	—	2	—	1	[illegible]
Съ пересылк. иногородн.	10	—	9	50	9	—	8	50	8	—	7	—	6	—	5	—	4	—	3	—	2	—	1	[illegible]
За границу	18	—	—		—		—		—		—		10	—	—		—		6	—	—		2	[illegible]

вмѣстѣ съ „Петербургской Жинью":

Съ достав. по город. цоч.	10 —	9 50	9 —	8 50	8 —	7 50	7 —	6 —	5 —	4 —	3 —	[illegible]
Съ перес. иногороднимъ	11 —	10 50	10 —	9 50	9 —	8 —	7 —	6 —	5 —	4 —	3 —	[illegible]
За границу	19 —	—	—	—	—	—	11 —	—	—	7 —	—	[illegible]

Разсрочка платежа годовой подписной цѣны допускается: для служащихъ—по третямъ черезъ ихъ казначеевъ, а для другихъ лицъ—по соглашенію съ конторою; взносы по разсрочкѣ производятся: гг. иногородними подписчиками: при подпискѣ 4 р. (вмѣстѣ съ журн. „Петерб. Жизнь" 5 руб.), въ концѣ марта—3 руб. и въ концѣ іюня 3 р.; городскими; при подпискѣ—3 р. (вмѣстѣ съ журн. „Петерб. Жизнь" 4 руб. (въ концѣ марта—3 р. и въ концѣ іюня 3 р.

Подписка принимается только съ 1-го числа каждаго мѣсяца и не далѣе конца текущаго года.

Деньги и письма адресуются: *Петербургъ, въ контору газеты „Новости"* *(Б. Морская, № 17). Адресъ для телеграммъ: Петердургъ, „Новости"*

Подписка на „Новости" и „Петербургскую Жизнь" представляетъ ту выгоду, что подписчикъ за прибавку одного рубля къ подписной цѣнѣ газеты пріобрѣтаетъ еженедѣльный иллюстрированный журналъ, заключающій въ себѣ обширный беллетристическій научный и др. матеріалъ и массу художественныхъ воспроизведеній событій дня. Прибавка одного рубля не покрываетъ даже расходовъ на пересылку журнала, стоющую болѣе рубля, и, такимъ образомъ подписчикъ получаетъ журналъ даромъ при нѣкоторой приплатѣ со стороны редакціи къ стоимости пересылки.

Годовая цѣна журнала „Петербургская Жинь", при отдѣльной подпискѣ на него, 6 руб.

Условія отдѣльной подписки на иллюстрированный журналъ

«ПЕТЕРБУРГсКАЯ ЖИЗНЬ»

1897 года.

Подписная цѣна журнала: безъ доставки и пересылки: на 1 годъ—5 руб., на 6 мѣс.—3 р., на 3 мѣс.—1 р. 75 к. Съ доставкою и пересылкою: на 1 годъ—6 руб., на 6 мѣс.—3 руб., на 2 мѣс.—1 р.

◆ Журналъ выходитъ по воскресеньямъ. ◆

◆

„Петербургская Жизнь" по содержанію своему представляетъ иллюстрированную лѣтопись, текущихъ событій и потому вышедшіе нумера этого журнала навсегда сохраняютъ историческій интересъ.

При конторѣ гаеты „Новости" сущсствуетъ

КНИЖНЫЙ МАГАЗИНЪ,

услугами которато подписчики „Новостей" пользуются на льготныхъ условіяхъ.

Отвѣтственный редакторъ-издатель *О. К. Нотовичъ.*

(10—7)

Дозволено цензурою. Тифлисъ, 24-го Января 1897 г. სტამბა მ. შარაძის და ამხ. ნიკ. ქ. № 21 რედაქტორ-გამომცემელი ვალ. გუნია,